საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/81

ქ. ბათუმი 02 დეკემბერი, 2016 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ჟანა ჯიბლაძის 2016 წლის 10 ნოემბრის MES 5 16 01350947 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტში **2016 წლის 15 დეკემბრიდან არაუმეტეს 2 თვის ვადით** სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-3 ან/და მე-4 სასწავლო წლის, მაგისტრატურის სტუდენტებს ან ამ პროგრამების კურსდამთავრებულებს.
3. კონკურსანტმა **2016 წლის 5 დეკემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) CV;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ნიშნების ფურცლის ასლთან ერთად ან დიპლომის ასლი (კურსდამთავრებულთათვის);

დ) ერთი ფოტოსურათი (3X4);

ე) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);

4. 2016 წლის 13-14 დეკემბერს, გასაუბრების საფუძველზე შეირჩეს 4 სტაჟიორი (ორ-ორი სტაჟიორი, დღის პირველ და მეორე ნახევარში სამუშაოდ).
5. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის კოორდინირებით შეასრულონ იურიდიული დეპარტამენტისათვის

დაკისრებული ფუნქციები (მოამზადონ სამართლებრივი აქტების პროექტები, სასამართლო/სააღსრულებო დოკუმენტაცია, მიიღონ მონაწილეობა სასამართლო პროცესებში, წარმართონ საქმეები სააღსრულებო წარმოებაში და სხვა ფუნქციების დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავალებით).

6. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვიანი კონტრაქტით.

7. წარმატებულ სტაჟიორებზე გაიცეს სერტიფიკატები.

8. კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამისი დატვირთვის გათვალისწინებით, არაუმეტეს 500 ლარით სრულ განაკვეთზე.

9. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.

11. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**